საქართველოს მთავრობის

დადგენილება №701

2020 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №173 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/04/2011, 340120000.10.003.016333) და ამ დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხა

პესტიციდები და აგროქიმიკატები:

ნომენკლატურის სასაქონლო კოდი	საქონლის დასახელება	შენიშვნა
3808 92 100 00	პრეპარატები სპილენძის ნაერთების ფუძეზე	
3808 99 100 00	როდენტიციდები	
3808 99 900 00	პესტიციდები დანარჩენი	
3102 80 000 00	შარდოვანას და ამონიუმის ნიტრატის ნარევები წყალხსნარში ან ამონიუმის ხსნარში	
3102 10 100 00	სასუქი შარდოვანა, მათ შორის, წყალხსნარში, აზოტის შემცველობით 45 მას. %-ზე მეტი, მშრალ უწყლო პროდუქტზე გადაანგარიშებით	
3102 60 000 00	კალციუმის ნიტრატისა და ამონიუმის ნიტრატის ორმაგი მარილები და ნარევები	
2833 25 000 00	სპილენძის სულფატი	

თესლი და სარგავი მასალა:

სეს ესნ სასაქონლო კოდი	**საქონლის დასახელება**	**შენიშვნა**
0602 10	დაუფესვიანებელი კალმები და გადანაწვენები	
0602 20	ხეები, ჯაგნარები და ბუჩქნარები, დამყნობილი ან დაუმყნობელი, საჭმელი ნაყოფის ან კაკლის მომცემი	
0602 90 300 00	ბოსტნეული კულტურების, მარწყვისა და ხენდროს მცენარეები	
0602 90 500 00	ღია გრუნტის მრავალწლიანი მცენარეები, ხეების, ჯაგნარებისა და ბუჩქნარების გარდა	
0602 90 700 00	დაფესვიანებული კალმები და ნორჩი მცენარეები, კაქტუსის გარდა	
0713 33 100 00	ლობიო (დასათესად)	
0701 10 000 00	სათესლე კარტოფილი	
0712 90 110 00	ჰიბრიდული შაქრიანი სიმინდი (დასათესად)	
1001 91 100 00 1001 91 200 00	სპელტა (დასათესად), რბილი ხორბალი და მესლინი, სათესლე	
1003 10 000 00	ქერი (სათესლე)	
1005 10	სიმინდი (სათესლე)	
1007 10 100 00	მარცვლოვანი სორგო (დასათესი ჰიბრიდები)	
1201 10 000 00	სოიოს ცერცვი (დასათესად)	
1205 10 100 00	რაფსის ან კოზლას თესლი – დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი (სათესად)	
1206 00 100 00	მზესუმზირის თესლი – დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი (სათესად)	

1209	თესლი, ნაყოფი და სპორები სათესად.	

შენიშვნა: თუ ნუსხაში მითითებულია ექვსნიშნა სასაქონლო სუბპოზიცია ან ოთხნიშნა სასაქონლო პოზიცია, მაშინ იგულისხმება, რომ გათავისუფლება ვრცელდება მოცემული სუბპოზიციის ან პოზიციის ყველა საქონელზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**